



**ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის  
სოციალურ საკითხთა სამსახური**



ქ.ქუთაისი ნ.დუმბაძის ქ.ნ-61

■ (0431) 24 11 42

ფაქსი: +995 (0431) 24 11 42

ელ.ფოსტა: socialuri2015@mail.ru

N 01/2938  
12/02/2018

2938-01-2-201802121638



სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი თაობათა დიალოგი  
გენერალურ მდივანს ეკატერინე მარუქაშვილს

ქალბატონო ეკატერინე,

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურში მივიღეთ თქვენი მომართვა (#8. 7.02.2018 წ ), რომელიც ეხება „ სოციალური სერვისების დეცენტრალიზაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“ პროექტის ფარგლებში კვლევას ადგილობრივ თვითმმართველობის სოციალური პროგრამებისა და გენდერული პოლიტიკის მიმართულებით განხორციელებულ საქმიანობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შემუშავება ადგილობრივ დონეზე და მისი ხელშეწყობა დაიწყო 2014 წლიდან. პირველი ამოცანა, რომელიც დაისახა ეს იყო ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის ფორმირებისას გენდერული კომპონენტის გათვალისწინება, რომელიც დღემდე გრძელდება. 2014-2016 წლებში საკრებულოსთან არსებული გენდერული საკონსულტაციო საბჭო მჭიდროდ თანამშრომლობდა კულტურულ-ჰუმანიტარულ ფონდ „სოხუმთან“. ყოველწლიურად გენდერული საკონსულტაციო საბჭო ატარებდა ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკისა და ბიჯეტის გენდერულ ანალიზს. მეტი ყურადღება დაეთმო გენდერული განათლების მხარდაჭერას და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ამ კუთხით; ადგილობრივ ტელევიზიაში გენდერულ თემებზე დისკუსიების გამართვას და ა. შ.

ამ ეტაპზე ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტში შეიქმნა გენდერული თანასწორობის საბჭო და დამტკიცდა დებულება (საკრებულოს დადგენილება #8 . 27. 12. 2017წ ). დაინიშნა ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოხელე.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს სწორედ ამ მიმართულებით ძუშაობა წარმოადგენს. ბიუჯეტში გათვალისწინებულია გენდერული მიმართულებით პრობლემების გადაწყვეტის გზები, რაც გამოიხატება ახალი პროგრამებისა და ქვეპროგრამების დამატების კუთხით და სათანადო თანხების მოძიების თვალსაზრისით. ქუთაისის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები, ძირითადად, ორიენტირებულია სოციალური,

ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის, ზოგადი ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის მიმართულებით.

2018 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნა გენდერული ასპექტები, რაც გამოიხატა ახალი სოციალური პროგრამების დამატებით. კერძოდ, „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფლის“ მიერ განხორციელებული პროექტის - დღის ცენტრის ბენეფიციარების დახმარების პროგრამის ფარგლებში, დაფინანსდება სოციალურად დაუცველი ოჯახების ქ. ქუთაისში რეგისტრირებული 12-დან 36- თვემდე ბავშვების დღის ცენტრში კვება და ჰიგიენური საშუალებებით მომსახურება. მარტოხელა მშობელთა დახმარების პროგრამა, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება და შშმ პირების მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსება და ა. შ.

მნიშვნელოვანია ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინება. კერძოდ, ბავშვთა დაავადების პრევენციისათვის ჯანდაცვის პროგრამების ხელშეწყობა და მხარდაჭერა ადგილობრივ დონეზე (ეპილევსიით, აუტიზმით, ლეიკოზითა და სოლიდური სიმსივნის, კოხლყარული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა, ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა დახმარება).


2018 წლის ბიუჯეტში გაჩნდა საინტერესო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც დაფინანსდება, ქ. ქუთაისში რეგისტრირებული (მცხოვრები) მრავალშვილიანი ოჯახების, რომელთაც ჰყავთ 5 და მეტი სრულწლოვანი შვილი, ქ. ქუთაისში რეგისტრირებული სრულწლოვანი პირის, პროფესიულ სასწავლებელში მოკლე ვადიანი სწავლების კურსი.

სპორტულ და მასობრივ ფიზიკურ აქტივობებში გაიზარდა ქალთა წარმომადგენლობა. ახალგაზრდულ პროექტებში უმეტესი წილი მოდის აქტიურ ახალგაზრდა გოგონებზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტში კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება და საკანონმდებლო რეგულაციებიდან გამომდინარე საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება.

პატივისცემით,

ოსებ ჩიჯავაძე

  
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი